

ნათია ულრელიძე

### სიმბოლოები ქართულ ჰერალდიკასა და სამედალიონო ხელოვნებაში

კაცობრიობის დასაბამიდან ადამიანი ქმნის კერპებს, ღმერთებს და სიმბოლოებს. ეს უკანასკნელი ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას ჩნდება სიმბოლიკის ისტორია. რისი მაგალითიც დღემდე უხვად არის შემორჩენილი მსოფლიოს სხვადასხვა ძველ ქვეყნებში. ეგვიპტელებმა, ბაბილონელებმა, ფინიკელებმა, ინდიელებმა, სპარსელებმა, ბერძნებმა, ქართველებმა და სხვა ერებმა შექმნეს უმნიშვნელოვანესი კულტურის ნაწარმოებები, როგორც ლიტერატურაში, ისე მუსიკასა და სახვით ხელოვნებაში.

სიტყვა „სიმბოლო“, (ბერძნული ზმნაა „symbolon“- ნიშანი), სიმბოლოს ცნება, ფართო გაგებით, აფიქსირებს მატერიალური საგნების, გრძნობადი სახეების უნარს გამოხატონ იდეალური შინაარსი. სწორედ ამიტომ, ესთეტიკისა და ხელოვნების ფილოსოფიაში, სიმბოლო წარმოადგენს უნივერსალურ კატეგორიას, რომელიც ხელოვნების საშუალებით ცხოვრების სახოვანი გათავისების სპეციფიკას ასახავს და მხატვრული ნაწარმოების შემადგენელ ელემენტად გვევლინება. სიმბოლო ყოველთვის მიეკუთვნება შემეცნების სფეროა და ამავე დროს, ეფუძვნება სინამდვილეს.

სიმბოლო ხშირად გაიგივებულია ნიშანთან და იგი თავის თავში ხშირად აერთიანებს ალეგორიას, მეტაფორას, მხატვრულ სახეს, მითს, ტიპს, ცნებას.

ხელოვნება და საერთოდ ადამიანის სულიერი მოღვაწეობის სხვა ფორმებიც, სიმბოლური ხასიათისაა.

სიმბოლური თეორიის შემქმნელი ე. კასიერი ადამიანის ცნობიერებას და ქცევის მთავარ განსაკუთრებულობას იმაში ხედავს, რომ იქ ქმნის სიმბოლოს. მისი აზრით სულიერი კულტურის ნებისმიერი სახე არის სიმბოლოებით გამოსახული.

სიმბოლურ ნიშანს ორმაგი სახე აქვს. ერთი მხრივ ის ინახავს რეალობასთან სპეციფიკურ კავშირს, მეორე მხრივ კი – გვაძლევს ზეგრძნობადზე, ირეალურზე წარმოდგენას და გამოდის ამ კანონთა, სტერეოტიპთა სახით, რომლებიც ცვლიან ცხოვრების ნამდვილ სურთს. ესთეტიკურ ნიშანთა დიხოტომიური ბუნება კარგად ვლინდება იმ როლში, რომელსაც ხელოვნებაში სიმბოლო თასამაშობს. ამ ესთეტიკურ ნიშანს შეუძლია ხელოვნების აღქ-

მწელი გადაიყვანოს ირაციონალობის სფეროში და ამავე დროს სინამდვილის განზოგადების საშუალებაც იყოს.

თავად სიმბოლო ყველაზე მრავალმნიშვნელოვანია. სიმბოლო ქმნის საკუთარ მრავალშრიან აზრობრივ სტრუქტურას, რომლის ახსნა და გაგება ინტერპრეტატორისგან მოითხოვს სხვადასხვა კოდებთან და შრებთან მუშაობას.

ა. ლოსევი წერდა, რომ სიმბოლოში მიიღწევა „ერთი მოდელით მოცემული, უსასრულო რიგის საგანთა სუბსტანციური იგივეობა“.

სიმბოლო, როგორც ესთეტიკური ფენომენი თავისთავად ზოგად კულტურული მნიშვნელობის მქონეა.

“სიმბოლო არის არა უბრალოდ ასახვა, არამედ იგი არის საზრისეული ასახვა“.

სიმბოლო უსასრულო აზრია, რომლის ერთმნიშვნელოვანი, უსასრულო გამოხატვა შეუძლებელია.

ესთეტიკური ნიშნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მათი შინაგანი თვისებებითა და ფუნქციებით, განსხვავდებიან ზომითაც. მათი ზომა განსაკუთრებით დიდი იყო ანტიკურ და შუა საუკუნეებში: ცხადია ეს პროცესები არ დაიყვანება ანტიკურ და შუა საუკუნეების სახით აღქმის და განვითარების გამოცდილებაზე, სადაც უპირატესი როლი ეკისრებოდა მითოლოგიასა და რელიგიურ შეხედულებებს.

თუმცა მოგვიანებით, აღორძინების კლასიციზმისა და განმანათლებლობის ეპოქის ხელოვნებაში, ნიშნური პროცესების ინტენსიურობა სხვა ფორმას იძენს. სიმბოლოს ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშია დამწერლობა – ანბანი, ადამიანებმა შექმნეს დროშები, გერბები, ყველა რელიგია მოიცავს ამა თუ იმ სიმბოლურ ნიშანს.

რაც შეეხება ქართულ ჰერალდიკას მისი საფუძველი ტოტემური აზროვნებისაა. საზოგადოებრივი განვითარების სწორედ ამ სტადიაზე ისახება წარმართული სიმბოლიკის უძველესი ფორმები, ესოდენ მჭიდროდ რომ არის დაკავშირებული წარმართულ რელიგიურ წარმოდგენებთან.

არანაკლებ ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ წარმართულმა სიმბოლოებმა ქრისტიანულ სიმბოლიკაში შეაღწიეს და, მიუხედავად პირვანდელი აზრობრივი მნიშვნელობის სახეცვლისა, ნათელ წარმოდგენას ქმნის უძველესი სარწმუნოებრივი ღირებულებების რაობაზე.

განსაკუთრებით ცხოველუნარიანი აღმოჩნდა ტოტემური სიმბოლოები. წარმართულიდან ქრისტიანულ სიმბოლიკაში გადა-

სულთ, მათ თვით ჩვენს დრომდე მოაღწიეს და ადგილი დაიმკვიდრეს თანამედროვე ქართულ სახვით ხელოვნებაში, სადაც დეკორატიული ელემენტის სახით წარმოდგებიან.

ქართულ ტოტემურ სიმბოლოთაგან განსაკუთრებული სიძველით გამოირჩეოდა გველის გამოსახულება. ასეთივე „ხანდაზმულია“ ფასკუნჯების, ცხენის (როგორც მზის განსახიერება), მზის – ბორჯღალოს, ჯვრის, ხარის და სხვა გამოსახულებანი. ქართული ჰერალდიკის ხანდაზმულობის თვალსაზრისით ერთობ საყურადღებოა ბალთა ფასკუნჯების გამოსახულებით და გველის ჰერალდიკური კომპიზიცია. ჩვენ არ გვაქვს სავსებით უტყუარი ცნობა, რომ ეს გამოსახულება მივაკუთვნოთ, ვთქვათ, საბრძოლო ტანსაცმელზე ან სამხედრო ქაშაშაზე გამოხატულ სიმბოლიკას, ესეიგი პირდაპირ დავაკავშიროთ ჰერალდიკასთან, მაგრამ ამ კომპიზიციის სიუჟეტს მაინც ღრმა ფესვები აქვს გადგმული შორეულ წარსულში. ზოგიერთი მეცნიერის განმარტებით, ფასკუნჯი გველის მტერი იყო. გველი კი აქ შეიძლება განვიხილოთ როგორც დემონური ძალის გამოხატულება.

ბევრმა ძველმა სიმბოლომ დროთა განმავლობაში დაკარგა თავისი პირვანდელი აზრი და ახალი ეპოქის შესაბამისად გარდაიქმნა.

სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული მონაცემების მიხედვით, უნდა ვივარაუდოთ, რომ XIX ს-მდე, ანუ რუსეთთან შეერთებამდე საქართველოში ქალაქებს გერბები არ გააჩნდა. ყოველ შემთხვევაში ამ სიტყვის კლასიკური ევროპული მნიშვნელობით. საგვარეულო, სახელმწიფო თუ სამხარეო გერბებისგან განსხვავებით საქართველოს სამეფო-სამთავროების იმპერიას მიერთებამდე მათ არსებობას არც რუსული გერბთმცოდნეობა სცნობს. თუმცა, ძირითადად ნუმისმატიკური მასალის საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ქალაქებს, შესაძლოა, ანტიკური ხანიდან მოყოლებული და XVIII ს-ის ჩათვლით, ჰქონდათ გარკვეული სიმბოლოები, რომელიც, როგორც ჩანს ზოგ შემთხვევაში მონეტებზე ან რაიმე სხვა საგნებზე დაიტანებოდა ხოლმე.

ფასდაუდებელი წყაროა ქართული ჰერალდიკის ისტორიისათვის ბატონიშვილი იოანე ბაგრატიონის მიერ 1825-28 წლებში დანერილი „ხუმარსწავლა“ ანუ, როგორც მას კიდევ უწოდებენ, „კალმასობა“. ამ ნაწარმოებში რამდენჯერმეა საუბარი გერბებზე, ხოლო „ღერალდიკას“ ცალკე თავიც კი ეძღვნება. იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ მეშვეობით შესაძლო ხდება წარმოდგინოთ საკმაოდ რთული სურათი იმისა თუ როგორ იცნობ-

დნენ იმხანად ჩვენში ჰერალდიკას, რა ადგილი ეჭირა მას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ა.შ.

XIX ს-დან მოყოლებული საგრძნობლად იმატა მატერიალური სახის წყაროებმა- მოხშირდა საგერბე გამოსახულებების დატანება საყოფაცხოვრებო გამოყენების საგნების თუ საფლავის ქვებზე. მოცემული პერიოდის წყაროთა ამ ჯგუფს განეკუთვნება და მათში გამორჩეული ადგილი უპყრია ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო საისტორიო მუზეუმში დაცულ გურიის სამთავროს ბრინჯაოში ჩამოსხმულ გერბს, ამავე დაწესებულებაში გამოფენილ ამილახვართა ერთ-ერთ წარმომადგენელს რუსების მიერ ბოძებულ რელიეფურ საგერბე კომპოზიციასა და ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდში დაცულ დადიანების სათავადო საგვარეულოს კუთვნილ ვერცხლის ლანგარს სამეგრელოს სამთავროს გერბით.

გვხვდება საქართველოს ზოგიერთი სამხარეო და საქალაქო გერბებიც, სხვათა შორის, როგორც ძველი, ისევე ახალიც.

რუსული გერბთმცოდნეობით საისტორიო ლიტერატურაში არსებობს ცნობა, რომ ჯერ კიდევ 1819 წ-ს, ანუ სანამ ქართულ ქალაქებს ოფიციალური გერბები გაუჩნდებოდათ, გენერალმა ალექსანდრე პეტრეს ძე ერმილოვმა (სხვათა შორის ეს სწორედ ის ერმილოვია, რომელიც საქართველოს მთავარ მმართველი იყო და რომელმაც სასტიკად ჩაახშო 1819-20 წ.წ. გურია-იმერეთის აჯანყება), საკუთრი ინიციატივით შექმნა საქართველოს გერბის პროექტი და შემდგომში იგი აპირებდა ყველა სამაზრო ქალაქის ემბლემის შექმნას.

მთელი XIX ს-ის განმავლობაში მიმდინარეობდა, ქართული გერბთმემოქმედება – წლების მანძილზე იქმნებოდა ახალი და მოდიფიცირდებოდა ან ხელახლა დგებოდა მრავალი ქალაქის, ოლქის თუ მაზრის გერბი. აქვე შევნიშნავთ, რომ საქალაქო, განსაკუთრებით კი საგუბერნიო გერბები სხვადასხვაგვარი დოკუმენტებისა და გერბიანი ქალაქების გარდა, ადგილობრივ ჩინოვნიკთა გამოსარჩევი ნიშნების სახითაც გვხვდება. ასე მაგალითად, ცნობილია იმ დროინდელ თანამდებობის პირების კუთვნილი ოფიციალური უნიფორმის ლილები. ქუთაისის ან თბილისის გუბერნიის გერბების გრაფიკულ-გრავეიურული გამოსახულებებით.

ქალაქ თბილისის პირველი ჩვენთვის ცნობილი ოფიციალურად გაფორმებული გერბი 1878 წ-დე იარსება, ვიდრე მას ახლით შეცვლიდნენ.

ამრიგად 1843წ-ის 21 მაისს დამტკიცებული და 1878წ-დე მოქმედი თბილისის საქალაქო გერბი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ფრანგული ფარი შუაზეა გადაკვეთილი ზედა ნახევარში მოთავსებულია საქართველო-იმერეთის გუბერნიის გერბის ზემოთა ნაწილი; ქვედაში: ვერცხლზე – მერკურის კვერთხი, ფართო ვაჭრობის ნიშნად კვერთხი ოქროს შეფერილობისა ჩანს, არადა ლითონზე ლითონის დატანება მეტად იშვიათი მოვლენა არის ჰერალდიკაში. ჩვენ აქაც გვხვდება ანტიკური სიმბოლიკა.

ზოგადად ქართულ ჰერალდიკას სამეცნიერო კვლევითი მიდგომით პირველად სახელგანთქმული რუსი მეცნიერი და გერბთმცოდნე ალექსანდრე ლაკიერი შეეხო, 1855 წ-ს გამოცემულ თავის წიგნს „რუსული ჰერალდიკა“. იგი ხაზს უსვამდა ქართული ჰერალდიკის ორგანულობას და მართებულად აყენებდა ქართულ სიმბოლიკის მეტად საინტერესო უძველესი ფესვების ძიების საკითხს.

ამიერიდან რუს გერბთმცოდნეთა უმრავლესობა თავის შრომებში ამა თუ იმ სახით მაინც მიმოიხილავდა ქართულ გერბებს. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან დროის გარკვეულ მონაკვეთში ქართული გერბები რუსული ჰერალდიკის შემადგენელი ნაწილი იყო. ლაკიერის გარდა ქართულ გერბებს ეხებოდნენ გამოჩენილი რუსი ჰერალდისტი ისტორიკოსები: ფონ ვინკლერი, სობოლევა, სპერამსოვი და სხვანი. მიუხედავად ამისა, მაინც ძლიერ იშვიათია კონკრეტულად ქართულ გერბთმცოდნეობას მიძღვნილი ნაშრომები. ერთგვარ გამონაკლის წარმოადგენს დღევანდელი ერთ-ერთი წამყვანი გერბთმცოდნის დუმინის შრომები, რომელშიც სწორედ ცალკე გამოყოფილად არის შესწავლილი საქართველოსთან დაკავშირებული გერბების ისტორია.

1980 წ. კი პირველ სერიოზულ ქართულ გამოცემად მოგვევლინა ცენზურის მიერ შეკვეცილი, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული მიხეილ ვადბოლსკის წიგნი „საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკა“. წიგნში საკმაოდ მდიდარი საილუსტრაციო მასალის საფუძველზე წარმოდგენილია საქართველოში უძველესი დროიდან მოყოლებული, სიმბოლიკის ზოგადად განვითარების ისტორია. არქეოლოგიურ ნიმუშებთან ერთად განსაკუთრებით დიდი ადგილი ეთმობა კონკრეტულად გერბთმცოდნეობის მასალას, მათ შორის სახელმწიფო, სამხედრო, საქალაქო თუ საგვარეულო გერბებს. ცენზურის მიერ ამოჭრილია წიგნში შეტანილ გერბებს დართული ქართული თავადური საგვარეულოების მეტად მოკლე ისტორიები.

1735 წ. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ კავკასიის რუკას დართული აკვს მასზე აღბეჭდილი მხარეების და ქვეყნების გერბები. მათ შორის არის ერთიანი საქართველოს სამი (sic) გერბი. ეს პირველი შემთხვევაა საქართველოს ყველა სიმბოლოს ერთად წარმოდგენისა. ამგვარი, ასე ვთქვათ, გასამმაგება, გნებავთ ტრიუმფირატი, ალბათ, მხოლოდ იმით თუ აიხსნება, რომ XVIII ს-ის შუახანებისათვის ჯერ კიდევ არ არსებობდა ოფიციალურად დადგენილი საქართველოს სახელმწიფო გერბი.

განვიხილოთ ცალ-ცალკე: პირველი – „საქართველოსი“: ყვითელი ფონის პირობით ფარში, მწვანე უნაგირიან, წითელ ბაღურთან თეთრ ცხენზე ამხედრებული, წითელ აბჯრიანი და მწვანე მოსასხამიანი, შარავანდედით მოსილი წმ. გიორგი, შუბით გამირავს ცისფერ გველეშაპს. მხედარს მარცხნიდან „ღვთის ხელით“ წითელ გვირგვინს ადგას.

მეორე – „სამეფო-კვართიან-დავითიან საქართველოსი“: მწვანე ფონზე, ორ ვარდისფერ ღომს მართკუთხა გადაკვეთილი ფარი უპყრია. ზემო თეთრ ნახევარში მოთავსებულია მაცხოვრის ყვითელი კვართი. ქვედა ნახევარში კი სწორკუთხად არის ოთხად გაყოფილი: ზემო მარჯვენა მეოთხედში ძალაუფლების გამომხატველი სფეროა, ზემო მარცხენასი - ბიბლიური დავითის ქნარი; ქვემო მარჯვენა ნაწილში, დავითისვე შურდული, ხოლო ქვემო მარცხენაში – სამეფო ხელისუფლების ამსახველი, ირიბად გადაჯვარედინებული სკიპტრა და ხმალი (ფიგურა ყვითელია).

გერბი, როგორც ვხედავთ, ბაგრატიონთა წარმოშობის, ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ, ლეგენდის მიხედვით არის შედგენილი და შინაარსობრივად არ განსხვავდება ვახტანგ VI-ისეული წინამორბედისგან. აქვე აღსანიშნავია განმარტებითი წარწერა: „სამეფო კვართიან დავითიან საქართველოსი“, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობაა მმართველი დინასტიისა და სახელმწიფოს გერბების გაიგივებაზე.

მესამე – „საქართველოსი“ (მიქაელ მთავარანგელოზიანი): ყვითელ ფონზე, ხმლიანი, წითე-ყვითელ სამოსიანი ანგელოზი თეთრი ფრთებით და წაღებით, მახვილი და შარავანდედი შესაბამისად ვარდისფერი და ყვითელია, ქარქაში კი შავი. ქრისტიანულ სამყაროში მახვილით ხელში მხოლოდ არქისტრატეიგი – მეორედ მოსვლისას ღვთის ღაშარის მეთაური მიქაელ მთავარ ანგელოზი გამოიხატება.

უმთავრესი სიახლე ქართულ ჰერალდიკაში ფერების გაჩენაა.

სახელმწიფო და დაინასტიური სიმბოლიკის გაიგივებას, ერთიანობას ადასტურებს ქართულ მონეტებზე ბაგრატიონთა სა-

გავარეულო ემბლემატიკის განთავსებაც. 1765-1766 წ-ში თბილისში მოჭრილ ერეკლე II-ის შაურიანებზე ქართული ნუმიზმატიკის ისტორიაში პირველად ჩნდება ბაგრატიონთა დინასტიისა და საქართველოს სახელმწიფო გერბის ფიგურები – გვირგვინი, და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ მონეტაზე აღბეჭდილ სიმბოლურ გამოსახულებას გერბის შემადგენელ ნაწილთა უმეტესობა დაფარული აქვს, რითაც იგი ფრიად უმეტყველო ხდება, თავისთავად ფაქტი მონეტებზე სამეფო ხელისუფლების სიმბოლოთა სახით, სახელმწიფო გერბის გადმოტანისა მიგვითითებს ამ უკანასკნელის ფუნქციათა გაფართოვებაზე; ზოგადად, ქვეყნის კულტურული დონის ამაღლებასა და დასავლეთისკენ ორიენტაციაზე.

ბოლო საუკუნეებში სიმბოლოებზე უდიდესი მოთხვენილება იყო სამედალიონო ხელოვნებასში. XX საუკუნე განსაკუთრებით გამორჩეულია ამ თვალსაზრისით. ხოლო საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე მანამდე არ არსებული რაოდენობის, შინაარსის ორდენი, მედალი, მედალიონი და სამკერდე ნიშანი შეიქმნა. რასაც კარგად იყენებდნენ და იყენებენ ადამიანის წამახალისებმად. თითოეული მედლის დანესებისას მტკიცდებოდა მისი დებულება და აღწერილობა. დებულებაში მითითებული იყო, თუ რა დამსახურებისათვის აჯილდოვებდნენ მედლით და როგორი იყო მისი ტარების წესი.

ეს ძალზედ მოხერხებული და პრაკტიკული საშუალებაა იყო, რომ ამა თუ იმ ადამიანს, ხშირად კი სახელმწიფოს გამოეხატა თავისი შეხედულება და სათქმელი სხვა ადამიანებისადმი ერთი კონკრეტული სიმბოლიკით, რომელიც მოთავსებული იყო მედალში.

მედალზე გამოსახული იყო ის ფიგურები, ნიშნები, ალეგორიები და სიმბოლოები, რომელიც შეესაბამებოდა აზრობრივად და იდეოლოგიურად იმ ზეპარტიულ მოთხოვნებს რისთვისაც იყო იგი დაკვეთილი.

იმისდა მიხედვით, თუ რა სახის და დანიშნულებით იქმნებოდა მედალი განსხვავდებოდა მისი ფორმა და შინაარსი, ალეგორიები, სიმბოლოები...

მედლებზე ხშირად გამოისახებოდა ანტიკური ღმერთები: აპოლონი, აფროდიტი, გერმესი, დემეტრა, დიონისე, პანი, და სხვა. თითოეული მათგანს ახლდა შესაბამისი ატრიბუტები: ელვა, კომბალი, არწივი, კვერთხი, სამკბილა და სხვა.

კონკრეტული იმპერიის დროს მითოლოგიური ღმერთების, მუზეების, მცენარეებისა და ცხოველ-ფრინველების სიმბოლური

გამოსახვის გარდა, მედლებში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა სამეურნეო იარაღებმა, ძირითადად ჩაქურჩებმა, ნამგლებმა. ღმერთები შეცვლეს ბელადებმა, ჩვეულებრივმა მოკვდავმა ადამიანებმა: მარქსმა, ენგელსმა, ლენინმა, სტალინმა და სხვა. ეს რაც შეეხება სახელმწიფოს უმარლესი ჯილდოების შინაარსის, იდეოლოგიურ დატვირთვას. ხოლო ხელოვნების თვალსაზრისით ხშირად შესანიშნავი კომპოზიციები კეთდებოდა მედლებში, სადაც სიმბოლიკა ლაკონურად და სხარტად იყო წარმოჩენილი.

მინდა შევეხო საბჭოთა ემბლემატიკას, რადგან თავად მედალიონის წარმოებას ამ ეპოქიდან აქვს დასაწყისი. შემორჩენილია სერიები სამკერდე ნიშნებისა, რომელზეც ძველი, იმპერიის დროინდელი თუ ახალი, საბჭოური საქალაქო გერბები იყო გამოსახული.

ერთ-ერთი უპირველესი ადგილი ეკუთვნის „სახელმწიფოს“ გერბის შექმნას, რომელზეც მრავალი მხატვარი მუშაობდა. გერბზე ასახული უნდა ყოპილიყო სხვადასხვა მხატვრული ელემენტები, რომელზეც მონოდებული იყო, რაც შეიძლება ზუსტად გადმოეცა სახელმწიფოში წარმატებულად მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური პროცესები.

საბჭოთა იმპერიის ქვეყნების ყველა გერბს უნდა მიეთითებინა თუ რომელ რესპუბლიკას მიეკუთვნებოდა იგი. ერთი აუცილებელი პირობის გათვალისწინებით. ფორმით უნდა ყოფილიყო ეროვნული, შინაარსით სოციალისტური. ეს არა ამრტო გერბებს და მედლებს, არამედ ხელოვნების ყველა დარგს ეხებოდა. ამ ორი შეუსაბამო მცნების გამო უმეტესად ეს ნაწარმოებები ეკლექტური გამოდიოდა. მაგრამ ასეთი იყო დაკვეთა, მკაცრ ცენზურას კი ვერავინ დაუპირისპირდებოდა. დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკას თავისი გერბი ჰქონდა, რომელიც კომუნისტებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, მას უნდა შექმნილიყო ახალი გერბი საბჭოური იკონპოგრაფიის გათვალისწინებით. გერბის შექმნას პარალელურად და განსაკუთრებით შემდგომ პერიოდში საგრძნობლად განვითარდა სამედალიონო ანუ მცირე პლასტიკური ხელოვნება, დატვირთული ახალი სიმბოლოებით.

საქართველოში არა ერთი გამოჩენილი მხატვარი მუშაობდა ამ დარგში; მათ შორის იყვნენ ე. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, გ. ოჩიაური და სხვა. მაგრამ ამ დარგში განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მოქანდაკე ლამარა ქველიძის შემოქმედება, რომელმაც მთელი ცხოვრება ძირითადად ამ ხელოვნებას მიუძღვნა. იგი არა მხოლოდ ახლებურად მეტყველ პლასტიკურ ფორმებს ქმნის, არამედ ახლებურად დატვირთულ სიმბოლოებსაც იგონებს, რომელთა შინაარსიც ერთი შეხედვით მარტივი და ლაკონურია,



რომელიც მაღალ ინტელექტზე დაყრდნობილი აზროვნების შედეგს წარმოადგენს. მაგალითად თბილისის ფარმაცევტული ფაბრიკისათვის შექმნილი მედალიონი. იგი მრგვალი ფორმისაა. მას შიგნით წრიულად დაჰყვება წარწერა, ხოლო ცენტრში გამოსახულია მზისკენ მიმართულ გველი, რომელსაც ასო „თ“-ს ფორმა აქვს. ცხადია აქ ტრადიციულ სიმბოლოსთან გვაქვს საქმე. გველი თავისთავად ფარმაციასთან ასოცირდება, ხოლო ის რომ მას „თ“-ს ფორმა აქვს – საქართველოს დედაქალაქზე თბილისზე მიუთითებს. აქ ტრადიციული სიმბოლოს ფორმა თავისთავად მიუთითებს ფაბრიკის ადგილმდებარეობაზე.

ასევე სიმბოლოდ ქცეული ფუტკარი, ამავე ავტორის მიერ შექმნილ მედალზე. ის მუყაით შრომაზე მიგვითითებს.

ქალბატონი ლამარა ქველიძის შემოქმედება ცალკე შესწავლის საგანია. მითუმეტეს ქართული საზოგადოება მის შემოქმედებას არ იცნობს.

ნებისმიერი შემოქმედი მედალიონის შექმნის პროცესში ფსიქოლოგის როლს ითავსებს, რადგან ერთი კონკრეტული ფიგურის გამოსახვით მნახველს უნდა მიაწოდოს სათქმელი და თავისთავად ის განწყობა რაც მასში შინაარსობრივად ჩადო. ეს ექსპრომტის ერთგვარ სახეს წააგავს.

მედლები აღჭურვილნი იყო სხვადასხვა ემოციებით დატვირთული სიმბოლოებით. ხშირად ამ ემოციას და სიმბოლური არსის უკეთ გამოხატვას ხელს უწყობს ფერები. რაც ზემოთ მოყვანილ სხვადასხვა ნიმუშებში ნათლად ჩანს.

ვცადე ნათლად აგვეხსნა სიმბოლოს, როგორც ესთეტიური ფენომენის სპეციფიკური ბუნება, როგორ შეითავსა და შეითვისა სამედალიორო ხელოვნებამ.

ფრანგი სემიოტიკოსი როლან ფარტი, რომელიც იცავს ხელოვნების სიმბოლური გაგების პოზიციას ამბობს: „ნაწარმოები თავის თავში მოიცავს ერთდროულად რამდენიმე მნიშვნელობას თავი საკუთარი სტრუქტურის ძალით და არა იმათი ნაკლის გამო, ვინც მას კითხულობს. სწორედ ამაში მდგომარეობს მისი სიმბოლურობაც: სიმბოლო ესაა სახე, ეს თავად აზრთა სიმრავლეა. და სწორედ ამ „აზრთა სიმრავლე“ არის წარმოჩენილი მცირე ქანდაკების დარგში.

დროთა განმავლობაში შეიცვლა მხოლოდ და მხოლოდ იდეა და მოწოდება ამა თუ იმ მედლის დანიშნულებისა. ხოლო სიმბოლიკა იმდენად ღრმად და მკაფიოდ არის ჩვენს ცნობიერებაში ჩაბეჭდილი რომ უმეტეს ნილად ვიმეორებთ მათ რადგან თითოეული მათგანი ღრმა და დიდ ისტორიას იტევს და ბევრ რამეს

გვეუბნება. მაგ.: დაფნა არა მარტო ძვ. საბერძნეთში და რომში გამოისახებოდა, მას დიდი წარმატებით გამოისახავენ ახლაც; თუმცა იქმნება და ჩნდება ახალი სიმბოლიკებიც. როგორც აღვნიშნე ამის შესანიშნავი მაგალითია თუნდაც მხოლოდ ლამარა ქველიძის მიერ შექმნილი მედლები. ამ ჯერად შემოქმედი მეტად თავისუფალი იყო, რადგან არ ასრულებდა კონკრეტულად მითითებულ იდეურ დაკვეთას. ამიტომაც, იგრძნობა მის ნამუშევრებში ასეთი სილაღე და თავისუფალი აზროვნება, თუნდაც სიმბოლიკებითა და ალეგორიებით.

Nathia Ugrelidze

### **Symbols in Georgian Heraldic and medallion art**

#### Summary

The art which Lamara Quelidze created is quite unique but the Georgian art fraternity is till date quite unfamiliar with it. Any artist while creating medallions enacts the role of a psychologist because each feature of the medallion has to be able to narrate to the audience a story - and along with it reveal the state of mind of the artist who created it. This is one of a kind of an experiment and these medallions express a range of emotions with symbols, quite effectively. To be able to express accurately, all of the above, colors have been used quite effectively, and is obvious in the sample shown above. I have tried to explain these symbols' with their specific aesthetic phenomenon. French semiotist, Rolan Faart, an expert of symbols says, "Every piece has a meaning because of the intricate structure and not because of the lack of understanding of the person who reviews it, which makes it so symbolical. Each symbol is a face which expresses different opinions."

And these 'many opinions' add to this small sculpture science.

With time, ideas and meanings seem to have changed but these symbols are so deep-rooted in our subconscious that we keep repeating them: and each one has a meaning and history behind it. For example Laurels is not only used in ancient Greek and Roman civilizations, but are used till today, all over the world. Even today, symbols are being created and as I said a good example of it is Lamara Quelidze's medals. One can clearly notice that the artist was feeling completely 'liberated'. She obviously was working by her free-will. And because of this one can feel, in her work, liberty and freedom of thought, all of which is expressed through symbols and allegory.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ატლასი. (XVIII ს.) თბ. აკადემიის გამომცემლობა. 1997 წ. გვ. 2-3.
2. დ. კაკაბაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თსუ-ის გამომც. თბ. 1969 წ. გვ. 151, სურ. 211-213.
3. თეონა ოდიკაშვილი, სიმბოლო როგორც ესთეტიკური ფენომენი.
4. თ. ასათიანი, ქართული გერბთმცოდნეობა.
5. მ. ვალდბოლსკი, საქართველოს შერალდიკური სიმბოლო.
6. თ. ასათიანი — საქართველო გერბები ქართულ შერალდიკაში.
7. Н. М. Одноралов
8. В. В. Румянова Эмблемы Земель и Гербы